ეროვნული ბიბლიოთეკა


# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასკვეთისათვის შესაზვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილი** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—7)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება „ამხანაგობის“ მიერ გამოცემული

## ჩანგი,

ახლად შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ

ამ წიგნებში გადმობეჭდილია აგრეთვე პირველი ნაწილიდგან საუკეთესო სცენები და ლექსები

წიგნი შეიცავს 580 გვერდს.

ფასი 1 მანეთი.

ქალაქ გარედ ისყიდება ამხანაგობის აგენტებთან.

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

## ბრძოლა

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემსსაზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.


ტფილისი, 17 ივლისი

დრონი იცვალნენო, რომ იტყვიან, ეს სწორედ სახელ-განთქმულ თავადს ბისმარკს და დღეს ჰერცოგს ლაუენბურგისას დაემართა. ამ ორის წლის წინად არამც თუ მთელი გერმანია, თვით ევროპაც-კი თ. ბისმარკს თვალში შეჰყურებდა, შიშით და კრძალვით ელოდდა, აბა რას იტყვის გერმანიის კანცლერი, სახელად წოდებული „რკინის კანცლერად“. გერმანიის იმპერატორი, ძალიანაც რომ ნდომოდა, თავადი ბისმარკის რჩევას ვერ გადავიდოდა და ყველაფერს უსმენდა ერთგულ კაცს.

თვით თ. ბისმარკს სწამდა თავის ბედის ვარსკვლავი. სიამაყით და ამპარტავნობით უმზერდა ევროპას, რომლის აწეწილ-დაწეწილი პოლიტიკის ნასკვი ხელში მაგრად ეჭირა და ჰოგენცოლერნების იმპერიას. ანკი რატომ არ უნდა ეამპარტავნა გუშინდელს ვიღაც ფონ ბისმარკს, რომელმაც ხუთის წლის განმავლობაში ის მოიყვანა სისრულეში, რაც ერთსა და ათს კაცს არ ძალუძს. ამ მცირე ხანში ბისმარკმა შეჰქმნა იმპერია, გააერთიანა წვრილმანი ერნი გერმანიისა, საფუძველი მოუსპო „ხეობის პატრიოტიზმს“ და ამ წვრილმანი გრძნობის მაგიერ წინ დააყენა დიდი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. ოთხი, ხუთის საუკუნის განმავლობაში ამის ასრულებას ნატრობდნენ საუკეთესო გერმანიის შვილნი, ჰქადაგებდნენ, რომ დამღუპველია ერისათვის პარტიკულიარიზმი (ცალკ-ცალკეობა), რომ საზოგადო გერმანიის ერის ინტერესებს უნდა შევსწიროთ ცალკე ინტერესი შტუტგარდისა და კობურგ-საქსენ-ვეიმარისა, მაგრამ მათი მოძღვრება რჩებოდა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

დიაღ, გერმანიის ერს თ. ბისმარკმა აუსრულა ისტორიული საწადელი, განუხორციელი ისა, რაზედაც მხოლოდ ოცნებობდა ოცნებას მიჩვეული გერმანელი. და აბა ამის შემდეგ, მოდი და ნუ შეიყვარებ ამ სასწაულს მომქმედს კაცს, ან თითონ შენ ნუ გაამპარტავნდები. შენი გონების ნამოქმედარი ქვეყანას აკვირვებს და სწორეთ რომ ძნელია ამ დროს გულმა მოგითმინოს და არა სთქვა: მე ძლიერი და დიდი კაცი ვარო.

წელან მოგახსენეთ, დრონი იცვალნენო. ამას ისიც დაუმატოთ: ერთი დრო არავის შერჩენიაო. სწორედ ეს დაემართა თ. ბისმარკს. ამ ხელმწიფის ტოლს კაცს დღეს ემუქრებიან, სამართალში და პასუხის გებაში უნდა მიგცეთ, შენ, თავადი ბისმარკი, აბრუს და სახელს უტეხამ შენს სამშობლოს, ბუზღუნით და არა თავდაბლური ლაპარაკით მრავალ შეწუხებას აყენებ იმპერიას და ამისათვისაც უნდა დაისაჯოვო.

გერმანიის ეხლანდელმა მთავრობამ ბევრი უთმინა ბისმარკს ამ ორის წლის განმავლობაში. ბევრი მწარე სიტყვები გააგონა ბისმარკმა მთავრობას, ბევრჯელ მათრახები გადააწნა. ყველაფერს ითმენდა და დღეს-კი ველარ მთოიმინა. აი მიზეზი საქმის გამწვავებისა.

ბისმარკის შვილმა ჰერბერტმა ვენგრიელი გრაფის გაიოშის ქალი შეირთო ცოლად. ქორწილი დანიშნული იყო ვენაში. მამა გაემგზავრა შვილის ქორწილზედ და ბერლინზედ ჩაიარა. აქ აუარებელი ხალხი მიეგება გერმანიის გამაერთებელს და ემუდარებოდა, ერთი სთქვი რამე, ხმა ამოიღე, კიდევ მოვისმინოთ შენი რიხიანი სიტყვა-პასუხიო. ბისმარკმა ამაზედ ის უთხრა, რომ მე პირი შემიკრესო. ამ სიტყვების გაგონებაზედ ხალხი ზღვასავით აღელდა და ათასნაირად გამოუცხადა ბისმარკს თავისი თანაგრძნობა. რომელ ქალაქშიაც-კი გაიარა ბისმარკმა უფრო მომეტებულის თანაგრძნობით დახვდნენ, ვიდრე ბერლინში. ვენელებმა ხომ ყველას გადააჭარბეს. ვენაში-კი ბისმარკმა ველარ მოითმინა და მრავალი საყვედური წარმოსთქვა გერმანიის მთავრობის შესახებ. ყველაფერი დაუწუნა ბისმარკმა გერმანიას: საგარეო პოლიტიკაც, შინაურიც, სავაჭრო ხელშეკრულობანიც, რომლის გულისთვის ბისმარკის მოადგილემ კაპრივიმ გრაფობა მიიღო, მოხელენიც და მრავალი კიდევ სხვები.

მოთმინებიდგან გამოსული გერმანიის მთავრობაც ეხლა თავს ერთად უყრის ყველა სიტყვებს, რაც-კი ბისმარკს უთქვამს, რომ გასამტყუნებელი მასალა იშოვნოს. ჯერ-ჯერობით ამასაც არა სჯერდება. ბისმარკის მომხრე დიპლომატებს თავიანთ ალაგებზე აღარ აყენებს, ზოგს ითხოვს და ზოგიც მცირე ალაგას გადაჰყავს. სტამბოლის საუკეთესო ელჩი ფონრადოვიცი გადიყვანეს მადრიდში, ვენის ელჩი პრინცი რეისი, ამბობენ, შემოდგომამდის აღარ დარჩება ვენაშიო.

ასე მწვავდება საქმე თ. ბისმარკსა და გერმანიის მთავრობის შორის. ევროპა ამ მოკლე ხანში იხილავს უხილავს მოვლენას, როგორ ებრძვის მთავრობა უძლიერესის სახელმწიფოსი თუმცა ძლიერს, მაგრამ მაინც არა გვირგვინოსანს ქვეშევრდომს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 13 ივლისს ქ. შუშაში ავად გახდა 4, მორჩა 6, გარდაიცვალა 3, ავად არის 21; მაზრაში ავად გახდა 116, მორჩა 12, გარდაიცვალა 28, ავად არის 82; განჯაში ავად გახდა 25, მორჩა 12, გარდაიცვალა 6, ავად არის 28; ქ. ნუხაში ავად გახდა 20, მორჩა 2, გარდაიცვალა 22, ავად არის 15; მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, ავად არის 2; ჯებრაილის მაზრაში ავად გახდა 2, მორჩა 1, გარდაიცვალაავად არის 2; ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 22, მორჩა

## ფელეტონი

### ბოროტი დედაკაცი

ვართაშენელ ებრაელთა ლეგენდა.

ბრძენთა ბრძენი მეფე ებრაელთა, სოლომონი ამბობდა, რომ ბოროტი დედაკაცი სულთა-მხუთავზედ უსაშინელესიაო.

ერთს კაცს მეტის-მეტად ბოროტი ცოლი ჰყავდა. იმდენად ბოროტი, რომ შეუძლებელია კალმით აღიწეროს და ან სიტყვით გამოითქვას. ის კიდევ არაფერი, რომ ქმრის ბრძანება და თხოვნა ფეხებზედ ეკიდა და ყურადღებას არ აქცევდა. უბედურება ის იყო, რომ პირ-იქით იმას ცდილობდა, როგორმე ქმარი გაებრაზებინა და მოთმინებიდამ გამოეყვანა. მაგალითად, როცა ქმარი წყალს მოსთხოვდა, ის მაშინ კოკას დაამტვრევდა; როცა შეჭამადის მომზადებას დაავალებდა, ქვაბს დაპირქვებულად შესდგამდა ცეცხლზე და ცეცხლზე კიდევ წყალს დაასხამდა. ყოველსვე ამას ის სიკეთეც დაუმატეთ, რომ უწყალოდ სცემდა ქმარს და ადვილად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ამ საბრალო კაცის სატანჯველი, რომელიც დღე-დღეზედ სიკვდილს ელოდდა.

მართლაც ამდენს მწუხარებასა და ვაივაგლახს ვერ გაუძლო და განუტევა მრავალ-ტანჯული სული. სულთა-მხუთავმა მოუღო ამ კაცს სული და წარუდგინა შემოქმედს. შეიკრიბნენ ანგელოზები, გაშალეს კაცთა მოქმედების ჩასაწერი დავთარი; ასწონეს ამ კაცის კეთილი და ბოროტი მოქმედებანი და დაასკვნეს, რომ ცოდვილიაო. ამიტომაც გაუჩინეს საუკუნო სატანჯველი ჯოჯოხეთში. მაგრამ შემოქმედმა ბრძანა, რომ თუმცა ბრალდებულს ბევრი ცოდვა და დანაშაული აქვს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში სამოთხეში შესვლის ღირსია, რადგანაც იმის ცოდვებს ამსუბუქებს ის გარემოება, რომ მთელი სიცოცხლე მოწამებრივს სატანჯველში გაატარა და ყოველივე ეს გმირულად და უდრტვინველად აიტანაო. მაშინ სულთამხუთავი წამოდგა წინ და მოახსენა შემოქმედს: „განა მაგისი ცოლი ჩემზედ უსაშინელესი და უბოროტესია? განა ჩემზედ უფრო სტანჯავს ადამიანთ? როცა ადამიანთ სულს ვართმევ, მეც ხომ ვაწვალებ იმათ და ნუ თუ ყველამ სასუფეველი უნდა დაიმკვიდროს იმიტომ, რომ სიკვდილის დროს ისინი ყველა წამებულია?“ ამაზედ ღმერთმა უპასუხა: „ის დედაკაცი ბევრ წილად უბოროტესია შენზედ და რომ თავის თავად დარწმუნდე ამაში, გიბრძანებ, მიიღო ადამიანის სახე და იცხოვრო მასთან მხოლოდ ერთს თთვეს“.

სულთამხუთავმა დაუყოვნებლივ მიიღო კაცის სახე, შეიმოსა მდიდრულის ტანისამოსით, ჩაჯდა ეტლში და დიდის ამალით გაემგზავრა იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობდა ის დედაკაცი. მოქალაქეებმა გაიგეს, რომ იმათ ქალაქში მოდის ვიღაც დიდებული სტუმარი; მთელი ქალაქი დიდის მოწიწებით და პატივისცემით შეხვდა ამ სტუმარს, რადგანაც ებრაელნი ყოველთვის დიდის თავაზით ეპყრობოდნენ უცხო კაცს. ახალ მისული სტუმარიც შესაფერის მართებულებით მიიღეს და ისეთ კაცთან დააბინავეს, რომელიც მთელს ქალაქში განთქმული იყო ღირსებითა და პატივისცემით. გულ-უხვმა მასპინძელმა განგებ ამ შემთხვევისათვის ბევრს სტუმარს მოუყარა თავი და დიდი წვეულება გადაიხადა. კაცად ქცეულმა ანგელოზმა ყოველ გვარ საუბარში დიდი ჭკუა და ცოდნა გამოიჩინა ყველაფრისა და არც საკვირველი იყო, რადგანაც, როგორც ანგელოზმა ყველაფერი იცოდა და ყველეფერზედ მარჯვე და მოხერხებულ პასუხს იძლეოდა. მოქალაქეებმა დიდად შეიყვარეს ეს იშვიათი სტუმარი და ყველა სთხოვდა, რომ სამუდამოდ ჩვენს ქალაქში დარჩით და თუ-კი ცოლის შერთვას მოისურვებთ, რომელსაც აირჩევთ, იმ ქალიშვილს მოგათხოვებთო. ის ამ თხოვნას დაეყაბულა და ყველა ერთის-მეორის უკეთესად უმასპინძლდებოდა.

რამდენსამე ხანს შემდეგ მასპინძელმა გაბედა და შეეკითხა: „კარგი ხანია, რაც ჩვენში ცხოვრობ და ყველა საუკეთესო ოჯახებში გაცნობილი ხარ, მაშასადამე, შეგიძლია გადაჭრით სთქვა, ვინც უნდა შეირთო“. სულთამხუთავმაც არ დაჰფარა თავის გულის პასუხი და გაუტყდა მასპინძელს, რომ ესა-და-ეს ქალი უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

5, გარდაიცვალა 12, ავად არის 34; არეშის მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 7, ავად არის 15; ყაზახის მაზრაში ავად აღარავინ გამხდარა; განჯის მაზრაში ავად გახდა 81, მორჩა 8, გარდაიცვალა 25, ავად არის 45; ზანგეზურის მაზრიდგან ცნობები არ მიუღიათ. მთელს გუბერნიაში 244 ავადმყოფია.

*** ხოლერამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ფეხი გასდგა სოფლებში და ღმერთმა ჰქმნას, რომ ბინაც არ მოიკიდოს. რადგანაც ჯერ თითო-ოროლა შემთხვევაა ხოლერისა და ამისათვის საჭიროა, რომ საცა თავს გამოიჩენს, იქ ყოველისფერი განადგურდეს, რათა ადგილობრივვე მოუღონ ბოლო და შორს აღარ გავრცელდეს, ამისათვის აუცილებელია სნეულთა ტანთსაცმელი, საცვალი, ქვეშსაგები და სხვა ამისთანა ადგილობრივვე დაიწვას დ მდაბიო ღარიბ ხალხისათვის-კი ყოველივე ეს მეტად დიდი ზარალია, ამისათვის მივმართავთ დიდის თხოვნით და ვედრებით ყოველს გულშემატკივარს ჩვენის ქვეყნისა ხოლერისაგან დაზარალებულთ ღარიბ ხალხთა შესაწევრად სოფლებში შემოსწირონ რაც შეეძლებათ და შემოწირული ფული უგზავნონ „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ამ შემოწირულს ფულს მაშინვე გადასცემს დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად საცა ჯერ არს, და ყოველს შემოწირულობას გაზეთითვე გამოაცხადებს. იმედი გვაქვს, რომ ამ სამადლო და საქვეყო საქმისათვის არავინ არ დაიშურებს შესაძლებელს შესაწირავს. ვთხოვთ ყველა აქაურ გაზეთებს ეს ჩვენი განცხადება გადაბეჭდონ. ჯერ ხანად 17 ივლისს ამ საგნისათვის შემოწირულია:

1) თავად გიორგი ილიას ძის ორბელიანისაგან ათი თუმანი.

2) თ. პეტრე და მიხეილ ალექსანდრე გრუზინსკებისაგან ოც-და-ხუთ-ხუთი მანეთი.

3) ილია ჭავჭავაძისაგან ოც-და-ხუთი მანეთი.

4) თ. დავით გურამიშვილისაგან ხუთი მანეთი.

5) ბ-ნ კონსტანტინე ეგორის ძის მირზოევისაგან ერთი თუმანი.

6) ბ-ნ პავლე ყიფიანისაგან ორი მანეთი.

7) №№-ისაგან ერთი მანეთი.

8) ბ-ნთ ქართველოვისა, მანსვეტოვისა, ზუბალოვისა და ბერიძისაგან თითო მანეთი.

სულ შემოწირულ იქმნა ცხრამეტი თუმანი და შვიდი მანეთი.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 13 ივლისს პეტროვსკში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 2, დარუბანდში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 7; ოლქებში ავად გახდა 313, გარდაიცვალა 160, მორჩა 70; ავად ათის: პეტროვსკში—40, დარუბანდში 10; ოლქებში: კიურინისაში—162, კაიტაგო-ტაბასარანისაში 47, სამურისაში 115, დარგინისაში 19, ყაზიკუმიხასაში 48, თემირხანშურისაში 204, გუნიბისაში 1 და ავარისაში 2.

*** ერევნის გუბერნატორი იუწყება: 13 ივლისს ნახიჩევანში ავად იყო 31, კიდევ ავად გახდა 22, გარდაიცვალა 10, მორჩა 16, ავად არის 27; მაზრაშა ავედ იყო 7, კიდევ ავად გახდა 20, გარდაიცვალა 11, ავად არის 16.

*** ხოლერის აცრა. გაზეთ „Новости“-ში დაბეჭდილია: „პარიჟიდგან გვაუწყებენ, რომ პასტერის ინსტიტუტის პროფესორის Roux-ს ასისტენტმა. მკურნალმა ხავკინმა გამოიგონა ხოლერის აცრა. ჯერ-ჯერობით მკურნალს ხავკინს სხვა-და-სხვა პირუტყვისათვის აუცრია ხოლერა (ზღვის გოჭები, მტრედები და ბაჭიებიბისთვის) და აღმოჩენილა, რომ აცრის შემდეგ ამ პირუტყვებს ხოლერის ბაცილა სრულიად ვერას ავნებს.

*** ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ ამ დღეებში გაარჩია საქმე იაგორ ბაბანოვისა, რომელსაც ბრალდებოდა თავის სახლის ეზოსა და ფეხის ადგილის უსუფთაოდ შენახვა და მიუსაჯა 100 მანათი ჯარიმა, თუ ვინიცობაა დამნაშავემ ბაბანოვმა ეს ჯარიმა არ გადიხადა, ერთის თთვით ციხეში იქნება დაპატიმრებული.

ამავე მომრიგებელმა მოსამართლემ ერთის თთვით ციხეში დაპატიმრება გადუწყვიტა სახლის პატრონს ავეტიქ გრიქუროვს სახლის უსუფთაოდ შენახვისთვის.

*** ხუთშაბათს საღამოზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში, კრება ჰქონდა მეთერთმეტე სასანიტარო რაზმსა და ქალაქის გამგეობას. ქალაქის მოურავმა სთხოვა ექიმებს, გამოეთქვათ თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა ამ ხოლერობის დროს ქუჩების რწყვა. კრება იმ აზრს დაადგა, რომ ხოლერობაში კარგი იქნებოდა რწყვა ქუჩებისა მხოლოდ მაშინ, როდესაც ძრიელ ბლომად არის წყალი, და შესაძლებელია, რომ ქუჩის ჭუჭყი გაიწმინდოს და მტკვარში ჩავიდეს. უამისოდ-კი რწყვა არ არის სასარგებლო, პირ-იქით, მავნებელიც არის, რადგან მცირე რწყვის დროს ხოლერის ბაცილა სველ ნიადაგზედ მრავლდება და, როდესაც ქუჩა შრება, ქარს ააქვს მტვერთან და შეიძლება კაცს პირში ჩაუვარდესო. ამის გამო კრებამ გადასწყვიტა, რომ სცადოს და ერთის კვირის განმავლობაში სრულებით შეაყენოს ქუჩების რწყვა.

თავმჯდომარემ მეთერთმეტე სასანიტარო რაზმისამ, ბ-ნმა ნ. ი. ნიკოლაძემ შეატყობინა კრებას, რომ გერმანელთა სოფელში, დიდუბეს ზემოდ, სამი კაცი გახდა ხოლერით ავად. ამ სოფელზედ მოდის ის არხი, რომლითაც ირწყვის დიდუბის ბაღები და აგრეთვე მიხეილის ქუჩისა. საშიშოა, რომ წყალი ამ არხისა შეიქმნეს მავნებელი და უფრო გაავრცელოს ხოლერა ქალაქში. ამის გამო ბ-ნი ნიკოლაძე ურჩევდა კრებას, რომ ეს არხი მოსწყვიტონ ქალაქის მიჯნაზედ და აღარ გამოუშვან ქვევით. კრებამ მოიწონა სარჩიელი ბ-ნ ნიკოლაძისა.

ბოლოს კრებამ მოისმინა ანგარიში დეზინფექტორ რაზამატისა. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ერთის კვირის განმავლობაში ექიმებს 74 დეზინფექცია მოუხდენიათ, ე. ი. უშიშარ უქმნიათ 74 სახლი, თანაც, რადგან ეხლა ბლომად არიან ექიმი-დეზინფექტორები, ამიტომ შესაძლებელი შეიქმნა მიაშველონ ექიმი ჭირიან სახლს თხუთმეტის მინუტის განმავლობაში, მაშინ როდესაც აქამომდე თითქმის 24 საათი უნდა გასულიყო, ვიდრე ექიმი მოვიდოდა ჭირიან სახლში და უშიშარს ჰყოფდა, რის გამოც ხოლერა ვრცელდებოდა ხალხში. ეხლა-კი უცებ მიატანენ ხოლმე და უსპობენ ხოლერას გავრცელების გზას, რის გამოც ხოლერა თანდათან სუსტდება ჩვენს ქალაქში.

თერთმეტ საათზედ კრება დაიშალა.

*** 17 ივლისს ქალაქის გამგეობამ მიიღო შემოწირულებანი ხოლერით დაზარალებულ სახლობათა სასარგებლოდ: სახელმწიფო საბჭოს წევრის სტატს-სეკრეტარ ბარონ ნიკოლაისაგან 200 მანეთი, ექიმ რეხტზამერისაგან—5 მან. და ზ. ი. რ.—10 მან. ამ სახით წინად შემოწირულებასთან ერთად სულ 4028 მანეთი. გარდა ამისა, დ. ზ. სარაჯიშვილმა გამოუგზავნა ქალაქის გამგეობას ასი ბოთლი კონიაკი ხოლერიანთა სასარგებლოდ. ქალაქის მოურავმა ასე გაანაწილა ეს შემოწირულება: 10 ბოთლი გაუგზავნა მუსულმანთა საავადმყოფოს, 20 ბოთლი—მიხეილის სამკურნალოს, ორ-ორი ბოთლი გარდასცა თერთმეტს თავმჯდომარეს ყოველის სასანიტარო რაზმისას, ხოლო დანარჩენი—საქალაქო ხოლერიანთა საავადმყოფოს.

*** იმიერ-კასპიის მხარეს გაგზავნილი, ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად მკურნალი პეტროვსკი 14 ივლისს ტფილისში ჩამოვიდა.

*** ამ დღეებში ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებამ ნება დართო სასოფლო აფთიაქების დაარსებისა მეაფთიაქეს თანაშემწეს, არტურ მარტინსონს—ბორჩალოს მაზრის ახალშენ ეკატერინენფელდში და პროვიზორს ველდენბრიუკს—სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურ-ციხეში.

*** ახალ-სენაკი: ხოლერის გაჩენის ამბავმა ჩვენი დაბაც დააფაცურა. შესდგა კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს, რომ რაც შეიძლება დაბაში სისუფთავე იყოს. პირველში კომისია თავის მოვალეობას მხნედ შეუდგა და ცოტა არ იყოს დაბა გვარიანადაც გაასუფთავებინა. ჩვენის აზრით, საჭიროა ფრიად საჩქაროდ გაკეთდეს ის ადგილი, სადაც აუზია და რომლის ნაპირებზედაც საშინელი აყროლებული ტბის გუბეები სდგას... ხოლერის გაჩენამ აქ ახალი ცვლილება შემოიღო: მაგალითად: ეგრედ წოდებული „დესეტნიკები“ საქონელს იჭერენ, თუ სადმე მოავლეს თვალი და ჯარიმას ახდევინებენ პატრონს, რამდენსაც თითონ მოისურვებენ. წარმოიდგინეთ, არც ბატებს უშვებენ უჯარიმოდ... ვითომ-და ხოლერას გააჩენსო. თვალ-წინ ნაგავი ვერ მოგვიშორებია და საწყალი ბატები-კი თურმე ხოლერის ბუდე ყოფილა?!. აქ უკვე მზადაა კარავი ავადმყოფთათვის, თუ ვინიცობაა ხოლერამ იჩინა თავი. კარავი ქალაქის მოშორებით არის გაკეთებული და ირგვლივ შემოღობილია.

*** იქიდამვე: როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ოზურგეთის სტამბის პატრონს კ. თავართქილაძეს განუზრახავს ახალ-სენაკში დააარსოს წიგნის მაღაზია და სტამბა. სახლიც დაუქირავებია კიდეც. წიგნის მაღაზია და სტამბა მომავალს თთვეში დაარსდება. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნოა, რადგან, როგორც ვიცით, მთელს სამეგრელოში არც წიგნის მაღაზია არსებობს და არც სამკითხველო.

*** სოფ. ნატოხაო (სენაკის მაზრა): თქვენი მტერი ჩავარდეს ისეთს შიშსა და საგონებელში, როგორშიაც ეხლა ჩვენი სოფელია ჩავარდნილი. ეს შიში ხოლერის გაჩენაა საქართველოში. ჩვენდა სამწუხაროდ, ისეა შეშინებული ჩვენი სოფელიცა და მთელი სამეგრელოც, რომ საითაც მიიხედ-მოიხედამთ, სულ ხოლერასა და ხოლერას გაიძახიან. ამას წინად აქ ხმა გაავრცელეს, რომ ახალ-სენაკში ერთი კაცი ხოლერით მოკვდაო. ეს გარემოება მთელს მაზრას მოედო. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ტყუილი გამოდგა. ამ გარებოებას ყურადღება მიაქციეს ადგილობრივმა მოძღვარმა მამა ეგ. კა—ლმა და რამდენმამე ნასწავლმა ახალგაზდამ. ნაწირვევს ეკკლესიაში დარიგების წიგნაკი წაუკითხეს ხალხს და სიტყვიერადაც ბევრი ილაპარაკა მოძღვარმა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ... ჩვენკენ ჯერ-ჯერობით ყანები ისევ გაუმარგლავია, რადგანაც წელს ბევრი ყანა დაითესა. მიზეზი ამისა ისაა, რომ აქ დღიური მუშა იციან და ამიტომ წელს კვლავინდებურად დღიური მუშა ძვირი იყო. მუშის დღიურმა ქირამ მეტის-მეტად აიწია, მანეთსა და ექვს აბაზს იძლეოდნენ, ოღონდ კი ეშოვათ ვინმე.

*** გაზეთი „Т. Л.“-ი იუწყება. რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ხარჯით სოფლებში ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად ექვსს მკურნალსა და თორმეტს ფერშალს მიეცემათ უფასო ბილეთები ამიერ-კავკასიის რკინის გზით მოგზაურობისაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ განჯიდგან: ხოლერა თანდათან ვრცელდე-

---

და შევირთო, რომელსაც ამას წინად ქმარი მოუკვდა და რომელიც ამ ჟამად ქალაქის ამა-და-ამ უბანში ცხოვრობს. ამ სიტყვებმა მასპინძელი კიდეც გააკვირვა და კიდეც შეაწუხა. დაუწყო თხოვნა-მუდარა სულთამხუთავს, რომ არა თუ, ნუ შეირთავ იმ ქალს, არამედ სახელსაც ნუ ახსენებ იმისას, რადგანაც იმდენად ბოროტი და ფლიდია, რომ ყველა თავ-მობეზრებული ვართ იმისაგანო. ქმარი მოინელა და ამოიჭამა და აბა სხვას როგორ დაინდობსო. სულთამხუთავი ამაებს ყურადღებას არ აქცევდა, მაინც თავისას ადგა და ამბობდა, ყველაფერი ეგ გასწორდება, მე მოვახერხებ, რომ დავიმორჩილო, დავაჭკვიანო და დავამშვიდო ისო. ბევრი ეცადა მასპინძელი, რომ სტუმრისთვის ეს განზრახვა გადაეთქმევინებინა. უმტკიცებდა, ჩვენს ქალაქში ბევრი კარგი ოჯახის შვილები არიან გასათხოვარნი, რომელთა დაწუნება არ შეგიძლია და როგორ გეკადრება შენისთანა ჭკვიანსა და შეუდარებელს კაცს, ვიღაც აფთარი დედაკაცის შერთვაო, მაგრამ ამაოდ. სულთამხუთავი მაინც ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „სხვას ვერ შევირთავ, თუ არ იმ ქალსაო“.

როდესაც ქალაქში ხმა გავარდა სწავლული და მეცნიერი სტუმარი ყველასაგან ცნობილ ქოფაკ-დედაკაცს ირთავსო, ყველას უკვირდა, ყველას ებრალებოდა ეს კაცი და ამის გამო მასთან სიარულს ყველა დაეთხოვა. დასასრულ მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. სულთა-მხუთავმა ცოლი შეირთო, ქორწილი გადიხადა და დიდი წვეულება გამართა. ბევრ ქეიფსა და შექცევის შემდეგ სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. დარჩა სულთა-მხუთავი თავის ცოლთან. მაგრამ რაკი ანგელოზი იყო, ადამიანურ სისუსტეთაგანაც თავისუფალი იყო. ცოლმა დიდის ამბით დაალაგა ოთახი, მოამზადა საწოლი და დაუწყო ლოდინი, მაგრამ ტყუილად. ის ერთს ალაგას იჯდა თავ-ჩაქინდრული და ცოლისკენ არც-კი იცქირებოდა. დიდხანს იცადა ცოლმა, როცა ვერას გახდა, დაუძახა, მაგრამ ქმარმა პასუხის ღირსიც არ გახადა, ხოლო მასთან მისვლა ფიქრადაც არ მოსდიოდა. მეორე დღესაც გამეორდა ეს ამბავი. მესამე დღეს მოთმინებიდამ გამოსულმა ცოლმა აიღო ჯოხი და ლაზათიანად მიჰბეგვა სულთა-მხუთავი, რომელიც, რა-კი ხორც-შესხმული იყო, დიდად შეწუხდა. „რაზე შემირთე შე არამზადავ, ბავშვი ხომ არ გგონივარ, რომ მეხუმრებიო“, უყვიროდა ბრაზ-მოსული დედა-კაცი და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა სცემდა ქმარს. დაუდგა სულთა-მხუთავს განკითხვის დღე, ჩავარდა ჯოჯოხეთში და იმის ტანჯვას საზღვარი აღარ ჰქონდა, მაგრამ რა საშველი იყო, ღვთის ბრძანებას ვერ წაუვიდოდა და ერთ თთვეზედ ადრე წასვლა არ შეეძლო. დიდის ჯაპან-წყვეტით გაატარა დანიშნული ვადა და ვიდრე ზეცაში წავიდოდა, წინანდელ მასპინძელს გამოეცხადა, რომ პურ-მარილისათვის მადლობა გადაეხადა. აქ ყველას გაეხარდა იმისი ნახვა; ყველამ მიულოცა ბოროტი დედა-კაცის კლანჭებიდამ განთავისუფლება.

სულთა-მხუთავმა განუცხადა მასპინძელს, რომ ანგელოზი ვარ, ამა-და-ამ საქმის გამო მივიღე ადამიანის სახე და დავრწმუნდი კიდეც, რომ ბოროტი დედა-კაცები სიკვდილზედაც უსაშინელესნი არიანო. „შენ კეთილი და სტუმართ-მოყვარე კაცი ხარ, გულ-სავსებით მიმიღე და გულ-უხვებით მიმასპინძლე, ბევრი ხარჯი ნახე ჩემ გამო და ამიტომ მინდა უმადური არ დავრჩე შენთან და მადლობა გადაგიხადო. გასწავლი სამკურნალო ხელობას, იარე მინდვრად, შეჰკრიბე სხვა-და-სხვა ყვავილ-ბალახი, მოამზადე წამლები და დაარწმუნე ყველა, ვინც-კი დაგეკითხოს, რომ შენ მკურნალი ხარ და უებარ წამლებს ამზადებ. როცა ავადმყოფთან მიხვალ, მეც იქ ვიქნები, მაგრამ შენს მეტი ვერავინ დამინახავს. თუ მნახო, რომ ავადმყოფის ფეხებთან ვიყო, იცოდე, ავადმყოფი მორჩება და შენც უმკურნალე; ხოლო თუ სასთუმალთან ვჯდე, გადაჰკრითა სთქვი, რომ ავადმყოფის მორჩენა არ შემიძლიან-თქო. მისცა ასეთი დარიგება სულთა-მხუთავმა თავის მასპინძელს და თან გააფრთხილა, რომ ქალაქს გარედ არ გახვიდე სამკურნალოდ, თორემ აუცილებლად მოკვდებიო. უთხრა ეს, მაშინვე გაჰქრა გაოცებულის მასპინძლის თვალთა წინაშე, რომელმაც დაიჯერა, რომ მისი სტუმარი მართლა ანგელოზი იყო.

სულთა-მხუთავი წარსდგა ყოველთა შემომქმედთან და აქებდა იმის მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა განჯაში. ავადმყოფთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს, განსაკუთრებით თათრებთა შორის. ამათი სახლები აშენებულია ვენახებსა ან თუთის ბაღებში და თათრები ბაღებშივე მარხავენ გარდაცვალებულთ და პოლიციას არ ატყობინებენ. ამ დღეებში გარდაიცვალა ხოლერით განჯის პოლიციის ბოქაულის თანაშემწე ვასილ მელიქოვი. ქალაქის სასანიტარო მზრუნველნი დაბა და სოფლებში წავიდ-წამოვიდნენ. მთელს ქალაქში რამდენიმე მაღაზია ვაჭრობს. დანარჩენი დაკეტილია. ძლიერ ძნელია ჩაისა, შაქრისა და სხვა სანოვაგეს შოვნა. განჯაში ყველაფრის სიძვირე ჩამოვარდა. გირვანქა შაქარი 24 და 25 კაპეიკად იყიდება, აგრეთვე გაძვირდა ჩაი და სხვა სანოვაგეც.

⁂ 16 ივლისს, მიხეილის ქუჩაზედ სასტუმროს „გერმანიაში" მცხოვრებელმა ვასილ მიშჩენკომ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ღია ოთახიდამ 400 მან. მომპარესო. ეჭვი გამოაცხადა იმავე სასტუმროში მცხოვრებს კოლეჟსკი სეკრეტრის ცოლს სეფოროვიჩზედ. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

⁂ ამავე დღესვე გოლოვინის პროსპექტზედ მუნთოევის სახლის შესავალ კარებთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## გაკვრით

(გზა-და-გზა გაგონილი)

სწორედ უცნაური ხალხი ახვევია სახელ-განთქმულ ქალაქ გორს. რაც იქ ამბავი მოხდება, სხვაგან ყოვლად შეუძლებელია მისი გამეორება. ალბად ამისთვინაცაა, რომ გამგებლადაც უცნაური ადამიანები ურგუნებია ბედს. აი მოისმინეთ, რასა გვწერს ჩვენი კორესპონდენტი. თურმე გორის ქუჩები დაუნათლავთ და ზოგისთვის „ლომანნაია" უწოდებიათ, ზოგიერთს „კრივაია", ეს უკანასკნელი მაშინვე გორელებს საკრივოდ გადაუკეთებიათ და ამითი გამოუცხადებიათ „პროტესტი" თვით-მმართველობისთვის და სხვ. ეს კიდევ არაფერი, დანათვლა კარგია, ვინ რას იტყვის, საქმე იმაშია, რომ ქართველი ნათლიისთვის პანღური უკრავთ. ტფილისში რომ ასე მოქცეულიყვნენ, ჰო, ვინ რას იტყოდა, აქ უკანასკნელმა კინტომაც რუსული იცის, მაგრამ იქ, გორში, სადაც განათლების ლომპრად მარტო პროგიმნაზია და საოსტატო სემინარიაა, საქალაქო და სასულიერო სასწავლებლები ითვლება, შეიძლება თვით „ღლასნებმაც" რუსული არ იცოდნენ, ქუჩების ამგვარად დანათვლა სწორედ საკვირველია. ურიგო არ იქნება, პატივცემული კორესპონდენტი ნიორა შეგვატყობინებდეს, შთამომავლობის სახსოვრად, ვინ აღძრა პირველად ეს უცნაური საკითხი?

—

მოგეხსენებათ, ყველაფერს თავისი საფუძველი აქვს და გორის თვითმმართველობის საქციელსაც, უეჭველია, თავისი ღირსეული საფუძველი ექნება. ჩვენ კერძოთ იმასა ვფიქრობთ, რომ აქ „тонкая политика" უნდა იყვეს. ამას წინად, ეხლა გავერანებულ ბაქოში, მოურავი უნდა ამოერჩიათ. ჩხუბი და აყალ-მაყალი სომხებსა და თათრებს შორის დიდი ატყდა. არა თათარი უნდა იყვეს ქალაქის მოურავად, არა სომეხიო. (ბაქოში რუსობა მცირეა). რომ ვეღარ და ვეღარ შერიგდნენ მებრძოლნი, ასე გადასწყვიტეს: მოდით, ნურც თქვენა, ნურც ჩვენაო, ნურც წვადს დავწვავთ, ნურც შამფურსაო ე. ი. ამოვირჩიოთ ისეთი კაცი, რომელიც არც სომეხი იყვეს, არც თათარი და ამოირჩიეს დესპოტ-ზენოვიჩი. მას უკანია ბაქოში დიდი მყუდროება სუფევს.

ალბად გორის გამგებლებსაც ასე უნებებიათ: ქუჩებს სახელი დავარქვათ, მაგრამ ნურც ქართულად, ნურც სომხურად, მაშინ არც ქართველები დარჩებიან გულ-ნატკენნი, არც სომხებიო. სწორედ, რომ სთქვას კაცმა, ასე ბრძნულად თვით სოლომონ ბრძენიც ვერ გაარიგებდა გამწვავებულ საქმეს. მხოლოდ აქ საკითხი ის არის: განა გორი ბაქოსა ჰგავს? რამდენადაც ჩვენ ვიცით, არა. ჩვენს ყმაწვილობაში გორში სომხურს გაზეთს, ვგონებ „მშაკს", მხოლოდ ერთი ტერტერა კითხულობდა. მას უკან არ ვიცით, რა ცვლილება მოხდა გორში, ეს კი ნამდვილია, რომ გორელ სომხობას არ ეწყინებოდა ქუჩების ქართულად დანათვლა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქუთაისი**, 13 ივლისი. ვისწრაფი შეგატყობინოთ ერთი ფრიად კარგი ამბავი. მოგეხსენებათ, საშინელი თავსზარი დასცა მთელს ქვეყანის მკვიდრთ დაუპატიჟებელმა სტუმარმა, რომელსაც აზიურ ხოლერას ეძახიან. ყველა ემზადება სუფთად დახვდეს ამ შეუბრალებელს სტუმარს. ჩვენი ქალაქიც, რასაკვირველია, ემზადება რიგიანად შეებრძოლოს ამ სენს, მაგრამ რასა იქს, როცა ისეთ დროს მობრძანდება ეს აზიელი ვაჟბატონი, როდესაც ქალაქის კასსა დაცარიელებულია. მართალია, ქალაქი მოელის 23,400 მანეთს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ დაბერებული ანდაზა: სანამ პეტრე მოვიდოდა, მანამ პავლეს"... ქალაქის გამგეობამ სთხოვა საბჭოს, ნება მოგვეცით ფული ვისესხოთო. საბჭომაც, რასაკვირველია, ნება-დართო. იმ სხდომაზედვე ერთი ხმოსანი წამოდგა და კრებას მოახსენა: მე ვასესხებ ქალაქს ფულს უსარგებლოდაო. საბჭომ, დიდის სიხარულით, მიიღო ასეთი წინადადება, ერთხმად მადლობა გადაუხადა და ყველანი კმაყოფილნი დაიშალნენ. პატივი და დიდება იმ კაცს, რომელიც ასეთს გაჭირვებულს დროს საზოგადოებას ხელს გაუწყობს და დაეხმარება.

მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ეს სიხარული და მადლობის გადახდა ცოტა ნაადრევი გამოდგა. პატივცემულის ხმოსნის წინადადება თურმე, ნუ იტყვით, ფუქსავატი ყოფილა; შუშხუნა და სხვა არაფერი. წარმოიდგინეთ, ისეთი პირობანი მოსთხოვა ქალაქს, რომ იმასთან საქმის დაჭერა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. აშკარაა, არა სდომნია ქალაქისათვის ფულის სესხება, თორემ რაღა საჭირო იყო საქმის გაძნელება, როდესაც სხვა რომ არა იყოს-რა ქალაქმა უნდა მიიღოს ხაზინისაგან ოც-და-სამი-ათას-ოთხასი მანეთი.

კიდევ მადლობა ღმერთს, რომ თითო-ოროლა პატიოსანი, გულ-შემატკივარი და გამჭრიახი კაცი არ მოაკლდა საზოგადოებას. სწორედ ასეთი კაცი გახლავს თავადი პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე. ცოტა სიტყვა გაგვიგრძელდება, მაგრამ რაც სათქმელია, უნდა ითქვას. მოგეხსენებათ, ერთად-ერთი სახსარი იმერეთის ალებ-მიცემობისა გახლავთ სიმინდი და ეს თუ არ მოგვივიდა და ან თუ მოგვივიდა და ვერ გავყიდეთ მთელის იმერეთის ალებ-მიცემობა დაღუპული გახლავთ. მაშინ ვაჭრობაც შეფერხებულია და კრედიტით მოტანილ საქონელის ფულის გასტუმრებაც ძნელია. შარშან ცოტას გაწყდა, კინაღამ მთელის იმერეთის სიმინდი არ დალპა, პავლე თუმანიშვილს, როგორც საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარეს, ტელეგრამით რომ არ შეეტყობინებინა ფინანსთა მინისტრისათვის ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა. დიალ, ორჯელ, სამჯერ თხოვნა განუმეორა და მინისტრმაც, როგორც უკვე მოგეხსენებათ, ჩვენ სიმინდის საზღვარ-გარედ გატანის ნება მოგვცა. ბ-ნმა თუმანიშვილმა ეხლაც დაიხსნა ქალაქი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან. ამის წინადადებით, საურთიერთო კრედიტის მმართველობას და მის ზედამხედველ საბჭოს თათბირი ჰქონდათ და აი რა გადასწყვიტეს; „Въ виду грозящаго городу общественнаго бѣдствія, неизбѣжнаго съ появленіемъ здѣсь холеры, открыть Городскому общественному правленію кредитъ до десяти тысячъ руб., выдавъ эту сумму безъ % и срокомъ до полученія городомъ ожидающихся имъ отъ казны 23,400 руб". ამ ხაირად ბანკმა ათასის თუმნის კრედიტი აღმოუჩინა ქალაქს. ზევითა ვსთქვი, ვისწრაფი ერთი კარგი ამბავი შეგატყობინოთ-მეთქი. დიალ, სასიამოვნო ამბავიც ეს გახლავთ და ვისურვებთ, რომ სხვა საკომერციო ბანკების წარმომადგენელთაც მიებაძნოთ პავლე თუმანიშვილისათვის.

ჩვენის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საქმე, როგორც იმის უკანასკნელ ანგარიშიდგანა სჩანს, ისე კარგად მიდის და ისეთი მკვიდრი საფუძველიცა აქვს, რომ ასეთს დახმარებით არავითარი ზარალი არ მიეცემა, მით უმეტეს, რომ ქალაქმა უნდა მიიღოს ხაზინისაგან, როგორცა ვსთქვით, ოც-და-სამი-ათას-ოთხასი მანეთი.

## წვრილი ამბავი

გაზეთი „Pesti Hinlap"-ი იუწყება, რომ გერმანიის ჟანდარმებსა და ტრანსილვანიის რუმინელთა შორის შეტაკება მოხდა. მიზეზი ამ ამბისა ის იყო, რომ ჟანდარმებმა ორი რუმინელი შეიპყრეს ქურდობისთვის. ხალხის ბრბო დაეცა ჟანდარმებს და სცდილობდა შეპყრობილნი განეთავისუფლებინა. ჟანდარმებმა იარაღი იხმარეს. ერთი რუმინელი მოიკლა და 25 დაიჭრა. ამათში რამდენიმე ქალია თურმე.

— ამ ჟამად ქალების „შლაპებისთვის" დიდძალი ფრინველი იხოცება: პარიჟის ერთმა ვაჭარმა აღმოსავლეთ ინდოეთიდგან 706,000 სხვა-და-სხვა ფრინველი დაიბარა. პარიჟისავე მეორე ვაჭარს 40,000 ფრინველი ამერიკიდგან დაუბარებია და 100,000 ფრინველი აფრიკიდგან.

— ამ მოკლე ხანში პარიჟში ძეგლს აუგებენ გამოჩენილს მეცნიერ-ფიზიოლოგს, კლოდ ბერნარსა. ძეგლი მარმარილოს თეთრის ქვისა იქნება.

— რუანის მახლობლად, ბანსეკურში ამას წინად ძეგლი აუგეს ჟანნა—დარკს. დღესასწაულს 20,000 კაცზედ მეტი დაესწრო. ძეგლი მეტად მშვენიერია თურმე.

— ქალაქ კრემონის გამგეობამ გადასწყვიტა ძეგლი აუგოს კომპოზიტორს ჰამილკარ პონკიელის, „ჯიოკონდას" ოპერის ავტორს.

— ს.-ჟერვეში მომხდარ უბედურობის დროს ერთს ინგლისელს ქალს გამოჰღვიძებია საშინელის გრგვინვისაგან, შეუტყვია, რომ ქალაქი იღუპებაო, მაგრამ არ შეშინებია, ჩაუკეტია კარები, გასაღები ჯიბეში ჩაუდვია, შემდეგ ტანთსაცმელი ჩაუცვამს და ნათესავებთან წერილი დაუწერია. ამ წერილით ქალი ატყობინებდა ნათესავთ, ჩვენს ქალაქს საშინელი უბედურობა ეწვია, გადარჩენის იმედი არა მაქვს და ამიტომ გემშვიდობებითო. ის სახლი, რომელშიაც ეს ქალი სცხოვრობდა, რაღაც უცნაურის შემთხვევით არ დანგრეულა და უშიშარი ქალი ცოცხალი გადარჩენილა.

— ქალაქი ჩიკაგო სულ 60 წლისწადია თურმე რაც დაარსებულა. 1883 წელს ჩიკაგოში 550 მცხოვრები ყოფილა. 4 წლის შემდეგ—4150. მას აქეთ ყოველ წლივ საკმაოდ ემატება მცხოვრებთა რიცხვი. 1850 წელს იყო—30,000 მცხოვრები, 1860 წელს—100,000, 1870 წელს—300,000, 1880 წელს—500,000, 1890 წელს—ერთი მილიონი და ამ ჟამად-კი ჩიკაგოშა 1.300,000 მცხოვრებია.

— მონბლანის მთაზედ 17 მგზავრი ავიდა ამ მთის სანახავად და იქიდგან არც ერთი არ დაბრუნებულა. ამბობენ ეს მგზავრები მთაში ქარ-ბუქის დროს დაიღუპნენო.

— ისპანიაში საშინელი სიცხეებია თურმე. მადრიდსა, კორდოვას, ბარცელონას და ვალენსიაში ტერმომეტრი

---

დგომელ სამართალს: „ჭეშმარიტად მართლ-მკვეთელი მსაჯული ხარ: იმ დედა-კაცის ქმარი ღირსია, დაიმკვიდროს სამოთხე, რომ იმდენი ტანჯვა ისე უდრტვინველად აუტანია".

დიდ ამბავში იყო სულთა-მხუთავის მასპინძელი, ეს, შემთხვევით გამკურნალებული, კაცი. დიდ-ძალი ყვავილ-ბალახი მოაგროვა და ბევრი წამალი დაამზადა. ქალაქის მკვიდრთ ის მართლა მკურნალად აღიარეს და ავადმყოფებთან დაჰყავდათ. ისიც თუ ნახავდა, რომ სულთა-მხუთავი ავადმყოფის ფეხებთან იდგა, უწამლებდა და მოარჩენდა. თუ არა და გადაჭრით ამბობდა, ავადმყოფის მორჩენა შეუძლებელიაო.

ხელად-გამომცხვარის მკურნალის საქმე კარგად წავიდა. დიდი სახელი და ძალა მოიპოვა. მთელ იმ ქალაქსა და იმის გარემო ადგილებში ცნობილი კაცი შეიქმნა. ქალაქს გარედგან ბევრნი მოდიოდნენ მასთან და იწვევდნენ, მაგრამ ის ქალაქ გარედ გასვლას ვერ ჰბედავდა, ეშინოდა, სულთა-მხუთავი სულს ამომართმევსო.

ერთხელ ერთს ხელმწიფეს შვილი გაუხდა ავად, ბევრი მკურნალი მოიდალა, ბევრი წამალი დაიხარჯა, ბევრი ფული გაფუჭდა, მაგრამ ამაოდ: ავადმყოფს ვერაფერი უშველეს. დასასრულ გაიგეს იმ სახელმწიფოში ჩვენი სახელ-განთქმულის მკურნალის ამბავი, გამოუგზავნეს კაცები და სთხოვდნენ წაგვყევი და უმკურნალე ხელმწიფის შვილსაო, მაგრამ უარს ამბობდა—ქალაქ გარედ გასვლის ნება არ მაქვსო. რომ ვერას გახდნენ, ხელმწიფემ გამოუგზავნა შვიდი ცალი ოქრო მხოლოდ გზის ხარჯად, სამკურნალოს კიდევ სხვას დაჰპირდა და ემუდარებოდა შვილის სიკვდილისაგან გადარჩენას. ამდენი ოქროს დანახვამ მკურნალს თვალები აუბა და გაემგზავრა ავადმყოფის სამკურნალოდ. თუნდა კიდეც მოვკვდე, ამბობდა ის, ამდენი ოქრო ჩემს შთამომავლობას სრულიად უზრუნველჰყოფსო.

მკურნალი დიდის ამბით მივიდა მეფის სასახლეში. შევიდა ავადმყოფთან და ნახა, რომ სულთა-მხუთავი ფეხებთან იდგა. დიდად გაეხარდა, უწამლა და ორ დღეში სრულიად მოარჩინა. მეფე და იმისი სახლეული განუსაზღვრელ სიხარულს მიეცნენ. დიდი ნადიმი გაუმართეს ქვეშევრდომთ, დიდ-ძალი ფული დაურიგეს გლახაკთ. რასაკვირველია, მკურნალიც არ დაივიწყეს და დიდად დაასაჩუქრეს.

რამდენსამე ხანს შემდეგ მკურნალი გამოვიდა ქალაქში, დაიწყო სეირნობა და თვალიერება ქალაქისა. შეხვდა სულთა-მხუთავი და შეუტია: „აკი გაგაფრთხილე, შენს ქალაქ გარედ არსად წახვიდე-მეთქი, რა-კი არ გამიგონე, ნუ გეწყინება, თუ ეხლავე მოგიღო სული." მკურნალმა იგრძნო თავისი დანაშაული და არ იცოდა რა ეთქვა და როგორ გამოსულიყო ამ გაჭირვებისაგან. მაგრამ ღმერთმა მოუწყო ხელი და შთააგონა, რაც უნდა ეთქვა. „მართალია შენ ნება გაქვს, რომ სული ამომართვა, მაგრამ ჯერ მოისმინე, რაც უნდა გითხრა. შენ ხომ გახსოვს, ჩვენს ქალაქს ესტუმრე, ჩემსას ჩამოხტი და რამდენსამე ხანს დარჩი. შემდეგ თუმცა ცოლი შეირთე, მაგრამ ვეღარ გაუძელ იმის სიბოროტეს და იქიდამ ისევე ჩემსას გადმოხველი. ყოველივე ეს გაუგია შენს ცოლს და დღითა და ღამით მოსვენებას არ მაძლევს, ქმარი მიპოვე და მომიყვანეო. მეც მეტი რა გზა მქონდა, წამოვიყვანე შენი კოფაკი ცოლი და წამოვედი შენდა საძებრად. მადლობა ღმერთს, რომ აქავე გნახე. ცოტა დამაცადე, მოგიყვან იმ დედაკაცს და ჩაგაბარებ. შემდეგ როგორც გენებოს"... ამ სიტყვებზე სულთა-მხუთავი საშინლად შემინდა და დაუწყო ვედრება მკურნალს, ოღონდ იმ დედაკაცს ნუ შემახვედრებ და შენს სულზე სამუდამოდ ხელს ავიღებო. სთქვა ეს და უჩინო იქმნა. მკურნალი სასახლეში დაბრუნდა და განაცხადა, რომ მივდივარო. მეფემ დიდი ამალა გაატანა, ძვირფასი ეტლი უბოძა, მრავალი ოქრო და ძვირფასი სამკაული უწყალობა და გაისტუმრა ეს იშვიათი სტუმარი, რომელიც ძალიან ეშურებოდა წასვლას, რომ რა არი სულთა-მხუთავმა კიდევ არაფერი ოინი მიყოსო.

აი რამდენად საშინელი და საზარელია ბოროტი დედაკაცი, რომლის სახელის გაგონებაზე თვით სულთა-მხუთავიც თრთის და ცახცახებს. კეთილი დედაკაცი ამშენებს ოჯახს, ბოროტი დაანგრევს დ გააკარწყლებს. მეფე სოლომონი ამბობს: ათას მამაკაცში ერთი გონიერი მაინც ვნახეო, ხოლო ათას დედაკაცს შორის-კი ვერც ერთიო.

ლ. წ—ძე

ჩრდილში 40 გრადუსს უჩვენებს დღისით და საღამოთი-კი 34 გრადუსს. სევილიაში—ჩრდილში 45 გრადუსი სიცხეა, ხოლო მზეში-კი 56 გრადუსი.

— ამ მოკლე ხანში ამსტერდამში გაიმართა სასტამბო გამოფენა.

— ბიორნსტერნე-ბიორნსონმა თანდათან დიდი სახელი მოიხვეჭა სკანდინავიის ნახევარ კუნძულზედ. აი რასა სწერენ მის შესახებ გაზეთებში: დედათა ერთს სასწავლებელში მასწავლებელმა ჰკითხა ერთს მოსწავლე ქალს: „ვინ არის ნორვეგიის მეფეო?“ ქალი დაფიქრდა და უპასუხა: „ბიორნსტერნე-ბიორნსონიო“. „ჯერ არაო“, უპასუხა მოსწავლე ქალს მასწავლებელმა.

## დეპეშა

16 ივლისი

**პეტერბურგი.** მინისტრთა კამიტეტმა დროებით უფლება მიანიჭა შინაგან საქმეთა მინისტრს, უწესოების დროს სასმელის დუქნების დაკეტვისა. გუბერნატორებს ნება მიეცათ უწესოების დროს საგანგებო კრების დანიშვნისა. კრებას შეუძლიან თავისისავე განკარგულებით სასმელის დუქანი დაჰკეტოს, თუ ეს საჭირო იქნება.

პოლტავას გუბერნიის, კონსტანტინოვის მაზრის სოფ. პეტროვკასა და პაპოვკაში კუბანის ოლქიდგან ხოლერა გადავიდა. 12 ივლისამდე ამ სოფლებში 16 კაცი გარდაიცვალა ხოლერით. მას აქეთ ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა. კურსკსა და ხარკოვს შუა რკინის გზის ლიანდაგზედ გარდაიცვალა 14 მუშა, რომლებიც სამხრეთიდგან მიდიოდნენ. ადგილობრივ მცხოვრებთაგან ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ორენბურგის მაზრის პოკროვსკის სოფელში გარდაიცვალა 10 კაცი. დანარჩენ ხოლერიან ადგილებში კიდევ გარდაიცვალა 1668-

**ბერლინი.** რუსეთიდგან გადატანა აკრძალულია: ნახმარ ტანისამოსისა და თეთრეულისა, ხილისა და ყოველ გვარ მწვანეულობისა.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,96 | 6,98 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 159¼ | 160 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¼ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223¼ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 192 | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99 ¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99 ½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 93¾ | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## განცხადებანი

### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.
საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირ-უქმეა დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 1 საათამდე. (150—76)

КРАСКА для ВОЛОСЪ
В. ГЕНА
ВЪ ВѢНѢ
ИЗЪ
ГРЕЦКИХЪ
ОРѢХОВЪ

ОХРАНИТЕЛЬНАЯ МАРКА.

БЕЗВРЕДНОЕ СРЕДСТВО ДЛЯ БЫСТРАГО ОКРАШИВАНІЯ ВОЛОСЪ и БОРОДЫ въ ЧЕРНЫЙ РУСЫЙ, ТЕМНО- и СВѢТЛО-КАШТАНОВЫЙ ЦВѢТЪ.

ЦѢНА ЗА ФЛАКОНЪ съ ПЕРЕСЫЛКОЙ 3 Р.
ГЛАВН. СКЛАДЪ ДЛЯ РОССІИ В. АУРИХЪ въ С. ПЕТЕРБУРГѢ КОЛОКОЛЬНАЯ 18.

(10—10)

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთა I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

## ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

(10—0—10)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება
ახალი წიგნი
ვახუშტი ბატონიშვილი

## საქართველოს
### გეოგრაფია
1 წიგნი
### სამცხე

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.
გამოცემა
მოსე ჯანაშვილისა
ფასი 25 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას გელარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 17-го Іюля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.